



გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების
ისტორიის საზოგადოება



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

საერთაშორისო ტერმინოლოგია: თარგმნა და სტანდარტიზაცია

საერთაშორისო კონფერენცია

INTERNATIONAL TERMINOLOGY: TRANSLATION AND STANDARDIZATION

INTERNATIONAL CONFERENCE

5-7 ოქტომბერი, 2018 / OCTOBER 5-7, 2018

პროგრამა და თეზისები
Program and Abstracts

თბილისი
2018



გამომცემლობა
ბრიჯონი



**გიორგი ახვლედიანის სახელობის
ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება**



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი**

საერთაშორისო ტერმინოლოგია: თარგმნა და სტანდარტიზაცია

საერთაშორისო კონფერენცია

5-7 ოქტომბერი, 2018

პროგრამა და თეზისები

**თბილისი
2018**



**GIORGI AKHVLEDIANI SOCIETY FOR THE
HISTORY OF LINGUISTICS**



**IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE
UNIVERSITY**

INTERNATIONAL TERMINOLOGY: TRANSLATION AND STANDARDIZATION

INTERNATIONAL CONFERENCE

OCTOBER 5-7, 2018

Program and Abstracts

**Tbilisi
2018**

კონფერენციის სარედაქციო საბჭო:

თამაზ გამყრელიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია)

ფრიდა სტეურსი (ტერმინოლოგიის საერთაშორისო ქსელის „ტერმნეტის“ პრეზიდენტი, ვენა; ნიდერლანდური ენის ინსტიტუტი, ლეიდენი)

კამიელ ჰამანსი (ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი, პოზნანი, პოლონეთი; ენათმეცნიერთა მუდმივმოქმედი საერთაშორისო კომიტეტი)

რუტა ქოშტა (ახალი უნივერსიტეტი, ლისაბონი)

თინათინ მარგალიტაძე (ლექსიკოგრაფიული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება, თბილისი, საქართველო)

კონფერენციის აღმასრულებელი საბჭო

თინათინ ბოლქვაძე (კონფერენციის თავმჯდომარე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება, თბილისი, საქართველო)

ნინო აბესაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება, თბილისი, საქართველო)

მაკა თეთრაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება, თბილისი, საქართველო)

EDITORIAL BOARD OF THE CONFERENCE

Thomas Gamkrelidze (*Tbilisi Ivane Javakhishvili State University, Georgian National Academy of Sciences*)

Frieda Steurs (*President of International Network for Terminology (TermNet, Vienna), Dutch Language Institute, Leiden*)

Camiel Hamans (*Adam Mickiewicz University Poznań, Comité International Permanent des Linguistes*)

Rute Costa (*Universidade Nova de Lisboa*)

Tinatín Margalitadze (*Research Director of Lexicographic Centre at Tbilisi Ivane Javakhishvili State University, Giorgi Akhvlediani Society for the history of linguistics*)

EXECUTIVE BOARD OF THE CONFERENCE

Tinatín Bolkvadze (*Chair of the conference, Giorgi Akhvlediani Society for the history of linguistics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia*)

Nino Abesadze (*Giorgi Akhvlediani Society for the history of linguistics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia*)

Maka Tetradze (*Giorgi Akhvlediani Society for the history of linguistics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Georgia*)

კონფერენციის ყველა სესია ჩატარდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის 212-ე აუდიტორიაში.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზირი 1, თბილისი

All sessions will be held in Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 1th campus, 212 auditorium.

Address: 1, I. Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia

09⁰⁰–10⁰⁰ რეგისტრაცია

10⁰⁰–10³⁰ კონფერენციის საზეიმო განხილვა. მისალმებები

10³⁰–11³⁰ ვლენარული სხდომა

თავმჯდომარე: თინათინ ბოლქვაძე

მონვეული მომხსენებლები: დიდრიხ ზანენი, აიდა კამარა (სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რეგისტრაციის ენობრივი სამსახურების სექცია), სავლე მთარგმნელები და „სიტუაციური ენები“ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში: ტერმინოლოგია და გაშუალებული დიალოგი საერთაშორისო სასამართლოს კონტექსტში

11³⁰–12⁰⁰ შესვენება

12⁰⁰ – 14⁰⁰

1 სესია: დარგობრივი ტერმინოლოგიის თარგმანა და სტანდარტიზაცია

თავმჯდომარე: დიდრიხ ზანენი

12⁰⁰–12³⁰ ვერონიკა შნაიდერი („საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მთარგმნელობითი ცენტრი), საქართველოს საკანონმდებლო მაცნის “მთარგმნელობითი ცენტრი და მისი ტერმინოლოგიური ლექსიკონი

12³⁰–13⁰⁰ ნინო ალი („საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მთარგმნელობითი ცენტრი) „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მთარგმნელობითი ცენტრის რედაქტორთა ჩართულობა ტერმინოლოგიურ მუშაობაში

13⁰⁰–13³⁰ მარიამ მიქაძე („საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მთარგმნელობითი ცენტრი), ტექსტის ტერმინოლოგიური დამუშავება და ტერმინებზე მუშაობა საქართველოს საკანონმდებლო მაცნის მთარგმნელობით ცენტრში

13³⁰ –14⁰⁰ ლიკა რიკაძე („საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მთარგმნელობითი ცენტრი), თარგმნის კომპიუტერული პროგრამა SDL Trados Studio 2017

14⁰⁰–14³⁰ შესვენება

14³⁰-16³⁰

II სესია: ლინგვისტური ტერმინოლოგიის თარგმანის პრობლემები

თავმჯდომარე: ჯულიანო ლანსიონი

14³⁰-15⁰⁰ რამაზ ქურდაძე, მაია ლომია, ქეთევან მარგიანი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო), ევიდენციალურ ზმნურ ფორმათა სახელდებასა და თარგმანთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები ქართველურ ენებში

15⁰⁰-15³⁰ ზურაბ ბარათაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველო), ზოგიერთი სინტაქსური ტერმინის ქართულად გადმოტანისათვის

15³⁰-16⁰⁰ თინათინ ბოლქვაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება, საქართველო, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, საქართველო), მაკა თეთრაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება, საქართველო, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, საქართველო), ნიკო ქელბაქიანი (სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, საქართველო) ოპერაცია -ი: ქართული ენის სახელობითი ბრუნვის პრობლემა ოფიციალურ დოკუმენტებში

6 ოქტომბერი, შაბათი, 2018

11⁰⁰-13⁰⁰

III სესია: საბჭოთა პერიოდის ტერმინოლოგიური პრობლემები და თანამედროვე გამონაკვეთები

თავმჯდომარე: ზურაბ ბარათაშვილი

11⁰⁰-11³⁰ ირინა ლობჯანიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო), EMT კომპეტენციების ჩარჩო და მთარგმნელობითი ტექნოლოგია

11³⁰-12⁰⁰ ქეთევან ხუციშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო), ეთნოგრაფიული ტერმინების თარგმანისა და სტანდარტიზაციის პრობლემა ქართულში

12⁰⁰-12³⁰ ნინო პოპიაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო), ტერმინოლოგიის საკითხისათვის სტალინური პერიოდის აფხაზურ და ოსურ სასკოლო სახელმძღვანელოებში

12³⁰-13⁰⁰ მაკა თეთრაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო), საბჭოთა ენობრივი პოლიტიკა და უტოპიური ტერმინთშემოქმედება ლეზგიური ენის მაგალითზე

13⁰⁰-13³⁰ შესვენება

13³⁰–15⁰⁰

IV სესია: სამხედრო და საზღვაო ტერმინოლოგია

თავმჯდომარე: რამაზ ქურდაძე

13³⁰–14⁰⁰ ჯულიანო ლანსიონი (რომის ტრეს უნივერსიტეტი), სამხედრო და თავდაცვითი ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის პრობლემები თანამედროვე არაბულ სალიტერატურო ენაში

14⁰⁰–14³⁰ გვანცა მღვდელაძე, თამარ გოგობია (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის დოქტრინების განვითარების ცენტრის დოქტრინების მომზადების განყოფილება), სამხედრო ტერმინოლოგიის თარგმანის პრობლემები პარაშუტით ხტომის სახელმძღვანელოში

14³⁰–15⁰⁰ ანა თენიეშვილი (ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია), ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის შექმნისა და დამკვიდრების აუცილებლობა

15⁰⁰–15³⁰ შისვენება

15³⁰–17⁰⁰

V სესია: ტრადიციული ლექსიკონები, ტერმინთა თიზაურუსი და ვირტუალური ვალუტა

თავმჯდომარე: აიდა კამარა

15³⁰–16⁰⁰ რუსუდან მახაჩაშვილი (ბორის გრინჩენკოს სახელობის კიევის უნივერსიტეტი, უკრაინა), კიბერტერმინოლოგიური თიზაურუსის ინოვაციური მოდელირება

16⁰⁰–16³⁰ ტიმოთი გიკი, ქეთევან ფოფხაძე, ნინო ქავთარაძე („სპოტკოინი“, თბილისი, საქართველო), კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის ქართულად თარგმნის პრობლემები

16³⁰–17⁰⁰ ელენე გიუნაშვილი (გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ფერეიდნულის ლექსიკონი: ირანული ნასესხობები

7 ოქტომბერი, კვირა, 2018

ექსკურსია

ბანკეტი

5 OCTOBER, FRIDAY, 2018

09⁰⁰-10⁰⁰ REGISTRATION

10⁰⁰-10³⁰ OPENING OF THE CONFERENCE - WELCOME ADDRESSES

10³⁰-11³⁰ PLENARY SESSION

Chair: **Tinatin Bolkvadze**

Keynote Speakers: Diederick Zanen, Aida Camara (*Language Services Section of the Registry (LSS) of the International Criminal Court (ICC)*), **Field interpreters and ‘situation languages’ at the International Criminal Court (ICC): Terminology and interpreter mediated dialogue in the ICC context**

11³⁰-12⁰⁰ COFFEE BREAK

12⁰⁰-14⁰⁰

SESSION I

TRANSLATION AND STANDARDIZATION OF SPECIALISED TERMINOLOGY

Chair: **Diederick Zanen**

12⁰⁰-12³⁰ Veronica Schneider (*The Legislative Herald of Georgia (Matsne) Translation Centre – The MTC*), **The Legislative Herald of Georgia (Matsne) Translation Centre and its Terminological Dictionary**

12³⁰-13⁰⁰ Nino Ali (*The Legislative Herald of Georgia (Matsne) Translation Centre – The MTC*), **Involvement of Revisers of the Translation Centre of the Legislative Herald of Georgia in Terminology Work**

13⁰⁰-13³⁰ Mariam Mikadze (*The Legislative Herald of Georgia (Matsne) Translation Centre – The MTC*), **Aspects of Term Extraction and Terminology Management in the Translation Centre of the Legislative Herald of Georgia**

13³⁰-14⁰⁰ Lika Rikadze (*The Legislative Herald of Georgia (Matsne) Translation Centre – The MTC*), **SDL Trados Studio 2017 Translation Software, a CAT Tool**

14⁰⁰-14³⁰ COFFEE BREAK

14³⁰-16³⁰

SESSION II

PROBLEMS OF TRANSLATION OF LINGUISTIC TERMINOLOGY

Chair: **Giuliano Lancioni**

14³⁰-15⁰⁰ Ramaz Kurdadze, Maia Lomia, Ketevan Margiani (*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia*), **The Issues of Naming and Translation of Evidential Verb Forms in the Kartvelian Languages**

15⁰⁰-15³⁰ Zurab Baratashvili (*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgian National Academy of Sciences, Georgia*), **Transferring Some Syntactic Terms into Georgian**

15³⁰-16⁰⁰ Tinatin Bolkvadze (*Giorgi Akhvlediani Society for the history of linguistics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, State Language Department, Georgia*), **Maka Tetradze** (*Giorgi Akhvlediani Society for the history of linguistics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, State Language Department, Georgia*), **Niko Kelbakiani** (*State Language Department, Georgia*), **Problem of Georgian Nominative Case Marker in Official Documents**

6 OCTOBER, SATURDAY, 2018

11⁰⁰-13⁰⁰

SESSION III

**PROBLEMS OF TERMINOLOGY OF SOVIET TIMES AND
MODERN CHALLENGES**

Chair: **Zurab Baratashvili**

11⁰⁰-11³⁰ Irina Lobzhanidze (*Ilia State University, Tbilisi, Georgia*), **EMT Competence Framework and Translation Technologies**

11³⁰-12⁰⁰ Ketevan Khutsishvili (*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia*), **Problem of Translation and Standardization of Ethnographic Terms in Georgian**

12⁰⁰-12³⁰ Nino Popiashvili (*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia*), **Concerning Terminology in the Abkhazian and Ossetian Schoolbooks during the Stalin Era**

12³⁰-13⁰⁰ Maka Tetradze (*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia*), **The Soviet Language Policy and a Utopian Establishment of Terminology: The Case of Lezgian**

13⁰⁰-13³⁰ COFFEE BREAK

13³⁰-15⁰⁰

SESSION IV

MILITARY AND MARITIME TERMINOLOGY

Chair: **Ramaz Kurdadze**

13³⁰-14⁰⁰ Giuliano Lancioni (*Roma Tre University*), **Issues in Standardization of Military and Security Terminology in Modern Standard Arabic**

14⁰⁰-14³⁰ Gvantsa Mgvdeladze, Tamar Gogokhia (*Doctrine Preparation Section of Doctrine Development Center of Training and Military Education Command of Ministry of Defence of Georgia*), **Military Terminology Translation Problem in “Static line Parachuting Techniques and Training”**

14³⁰-15⁰⁰ Anna Tenieshvili (*Batumi State Maritime Academy*), **Why it is Necessary to Create and Adopt Georgian Maritime Terminology**

15⁰⁰-15³⁰ COFFEE BREAK

15³⁰-17⁰⁰

SESSION V TRADITIONAL DICTIONARIES, TERMINOLOGY THESAURUS AND MODERN VIRTUAL CURRENCY

Chair: **Aida Camara**

15³⁰-16⁰⁰ Rusudan Makhachashvili (*Borys Grinchenko Kyiv University, Ukraine*), **Innovative Cyber-terminology Thesaurus Modelling**

16⁰⁰-16³⁰ Timothy Gick, Ketevan Popkhadze, Nino Kavtaradze (*Spotcoin, Tbilisi, Georgia*), **Challenges of Non-Existing Cryptocurrency Translations Affecting Georgian Regulations**

16³⁰-17⁰⁰ Helen Giunashvili (*Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies, Ilia State University, Tbilisi, Georgia*), **A Glossary of Iranian Borrowings in the Speech of Iranian (Fereydanyan) Georgians**

7 OCTOBER, SATURDAY, 2018

Excursion

Banquet

შინაარსი

ნინო ალი, სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მთარგმნელობითი ცენტრის რედაქტორთა ჩართულობა ტერმინოლოგიურ მუშაობაში.....	15
ზურაბ ბარათაშვილი, ზოგიერთი სინტაქსური ტერმინის ქართულად გადმოტანისათვის.....	18
თინათინ ბოლქვაძე, მაკა თეთრაძე, ნიკო ქელბაქიანი, ოპერაცია -ი: ქართული ენის სახელობითი ბრუნვის პრობლემა ოფიციალურ დოკუმენტებში.....	21
ტიმოთი გიკი, ქეთევან ფოფხაძე, ნინო ქავთარაძე, ციფრული ვალუტის ქართულენოვანი ტერმინოლოგიისა და საკანონმდებლო რეგულაციების პრობლემები.....	24
ელენე გიუნაშვილი, ფერეიდნულის ლექსიკონი: ირანული ნასესხობები.....	26
დიდრიხ ზანენი, აიდა კამარა, საველე მთარგმნელები და „სიტუაციური ენები“ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში: ტერმინოლოგია და გაშუალებული დიალოგი საერთაშორისო სასამართლოს კონტექსტში.....	28
მაკა თეთრაძე, საბჭოთა ენობრივი პოლიტიკა და უტოპიური ტერმინთშემოქმედება ლეზბიური ენის მაგალითზე.....	29
ანა თენიეშვილი, ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის შექმნისა და დამკვიდრების აუცილებლობა.....	31
ჯულიანო ლანსიონი, სამხედრო და თავდაცვითი ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის პრობლემები თანამედროვე არაბულ სალიტერატურო ენაში.....	33
ირინა ლობჯანიძე, EMT კომპეტენციების ჩარჩო და მთარგმნელობითი ტექნოლოგია.....	35
რუსუდან მახაჩაშვილი, კიბერტერმინოლოგიური თეზაურუსის ინოვაციური მოდელირება.....	37
მარიამ მიქაძე, ტექსტის ტერმინოლოგიური დამუშავება და ტერმინებზე მუშაობა საქართველოს საკანონმდებლო მაცნის მთარგმნელობით ცენტრში.....	38

გვანცა მღვდელაძე, თამარ გოგობია, სამხედრო ტერმინოლოგიის თარგმნის პრობლემა პარაშუტით ხტომის სახელმძღვანელოში.....	40
ნინო პოპიაშვილი, ტერმინოლოგიის საკითხისათვის აფხაზურ და ოსურ სკოლებში სტალინურ ეპოქაში.....	44
ლიკა რიკაძე, თარგმნის კომპიუტერული პროგრამა <i>SDL Trados Studio 2017</i>.....	46
რამაზ ქურდაძე, მაია ლომია, ქეთევან მარგიანი, ევიდენციალურ ზმნურ ფორმათა სახელდებასა და თარგმანთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები ქართველურ ენებში.....	48
ვერონიკა შნაიდერი, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მთარგმნელობითი ცენტრი და მისი ტერმინოლოგიური ლექსიკონი.....	50
ქეთევან ხუციშვილი, ეთნოლოგიური ტერმინების ქართულად თარგმანისა და სტანდარტიზაციის პრობლემები.....	53

ABSTRACTS

Nino Ali. <i>Involvement of Revisers of the Translation Centre of the Legislative Herald of Georgia in Terminology Work</i>	16
Zurab Baratashvili, <i>Transferring Some Syntactic Terms into Georgian</i>	19
Tinatini Bolkvadze, Maka Tetradze, Niko Kelbakiani, <i>Problem of Georgian Nominative Case Marker in Official Documents</i>	22
Timothy Gick, Ketevan Popkhadze, Nino Kavtaradze, <i>Challenges of Cryptocurrency Translations Affecting Georgian Regulations</i>	25
Helen Giunashvili, <i>A Glossary of Iranian Borrowings in the Speech of Iranian (Fereydanyan) Georgians</i>	27
Diederick Zanen, Aida Camara, <i>Field interpreters and ‘situation languages’ at the International Criminal Court (ICC): Terminology and interpreter mediated dialogue in the ICC context</i>	28
Maka Tetradze, <i>The Soviet Language Policy and a Utopian Establishment of Terminology: The Case of Lezgian</i>	30
Anna Tenieshvili, <i>Why it is Necessary to Create and Adopt Georgian Maritime Terminology</i>	31
Giuliano Lancioni, <i>Issues in Standardization of Military and Security Terminology in Modern Standard Arabic</i>	33
Irina Lobzhanidze, <i>EMT Competence Framework and Translation Technologies</i>	35
Rusudan Makhachashvili, <i>Innovative Cyber-terminology Thesaurus Modelling</i>	37
Mariam Mikadze, <i>Aspects of Term Extraction and Terminology Management in the Translation Centre of the Legislative Herald of Georgia</i>	39
Gvantsa Mgydeladze, Tamar Gogokhia, <i>Military Terminology Translation Problem in “Static line Parachuting Techniques and Training”</i>	41

Nino Popiashvili, <i>Concerning Terminology in the Abkhazian and Ossetian Schoolbooks During the Stalin Era</i>	44
Lika Rikadze, <i>SDL Trados Studio 2017 Translation Software, a CAT Tool</i>	47
Ramaz Kurdadze, Maia Lomia, Ketevan Margiani, <i>The Issues of Naming and Translation of Evidential Verb Forms in the Kartvelian Languages</i>	48
Veronica Schneider, <i>The Legislative Herald of Georgia (Matsne) Translation Centre and its Terminological Dictionary</i>	51
Ketevan Khutsishvili, <i>Problem of Translation and Standardization of Ethnographic Terms in Georgian</i>	54

ENEO ALI

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მთარგმნელობითი ცენტრი

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მთარგმნელობითი ცენტრის რედაქტორთა ჩართულობა ტერმინოლოგიურ მუშაობაში

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მთარგმნელობითი ცენტრის სამუშაო პროცესის განუყოფელ ნაწილს ტერმინოლოგიური მუშაობა წარმოადგენს. მთარგმნელობითი ცენტრის ტერმინოლოგიური მუშაობა მრავალეტაპიანი პროცესია, რომელშიც მუდმივად ჩართულნი არიან და ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ ცენტრის მთარგმნელები, ტერმინოლოგი, რედაქტორები და ინგლისურენოვანი რედაქტორი.

ტერმინებს იდენტიფიცირებას (ტექსტიდან ამოწერას) მთარგმნელობითი ცენტრის მთარგმნელები მიმდინარე დავალებებზე მუშაობისას ახდენენ. შემდეგ ტერმინებს ამოწმებს ტერმინოლოგი. ამ ორ ეტაპს მოსდევს ტერმინის რედაქტირება, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ტერმინის ლინგვისტურ ანალიზსა და მისი თარგმანის სისწორის შემოწმებას ან ახალი თარგმანის შეთავაზებას.

ლინგვისტური ანალიზის შემდგომი პროცესი მოიცავს ტერმინის გადამოწმებას მრავალრიცხოვან წყაროებში, რომელთა სახეობა მერყეობს გამომდინარე იქედან, თუ რომელ სფეროს მიეკუთვნება ესა თუ ის ტერმინი.

ვინაიდან მთარგმნელობითი ცენტრის მიზანს იურიდიული ტექსტების, კერძოდ, ეროვნული კანონმდებლობისა და ევროკავშირის კანონმდებლობის, თარგმნა წარმოადგენს, ცენტრი ტერმინოლოგიური მუშაობისას ძირითადად ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობისა (www.matsne.gov.ge) და ევროკავშირის კანონმდებლობის (www.eur-lex.europa.eu) წყაროებს, შესაბამის პუბლიკაციებს (მაგ., გზამკვლევებს („გაიდლაინებს“), სახელმძღვანელოებს), იურიდიულ ლექსიკონებს, გლოსარიუმებსა და ენციკლოპედიებს, ასევე ოფიციალურ ტერმინოლოგიურ ბაზებს (მაგ., IATE, Eurotermbank).

პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით გიჩვენებთ წყაროებთან მუშაობის პრინციპებს: თუ როგორ ხდება ტერმინთა „კანდიდატების“ შედარება, შემოწმება და მათგან საუკეთესოს არჩევა. ასევე განვიხილავთ ტერმინების შერჩევის კრიტერიუმებს: თუ ტერმინი ღირებულია, როგორც ტერმინი, მაგრამ არ არის ხშირად გამოყენებადი (მაგ., ტერმინი „zero-draft ship“ - არანაყალწყვისი გემი), რა შემთხვევაში მიიღება მისი ტერმინოლოგიურ ბაზაში შეტანის გადაწყვეტილება, ან, თუ ის არ მიიჩნევა კარგ/სწორ ტერმინად, რამდენად მიზანშეწონილია ასეთი ტერმინის შეცვლა მისი მრავალწლიანი გამოყენების შემდეგ (მაგ., ტერმინის ქართული შესატყვისი: Human Development Index - „ჰუმანური განვითარების ინდექსი“).

ინტერნეტსივრცეში არსებული უამრავი ვარიანტიდან სანდო წყაროს შერჩევის მნიშვნელოვანია ეფექტური ძიების ხერხების გამოყენება. მთარგმნელობითი ცენტრის გუნდმა პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიმუშავა ასეთი ხერხები. აქაც წარმოგიდგინთ პრაქტიკულ მაგალითებს იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ვირჩევთ სათანადო წყაროს ტერმინის სისწორის დასასაბუთებლად.

რედაქტირების შემდგომი ეტაპი მოიცავს რედაქტორის//კორექტორის მიერ ტერმინის შემოწმებას, რომელიც აფასებს, თუ რამდენად შეესაბამება ტერმინი კონკრეტულ კონტექსტს და რამდენად „ბუნებრივად“ ჟღერს ის სამიზნე ენაზე. ამის შემდეგ ტერმინი უბრუნდება რედაქტორს, რომელიც რწმუნდება, რომ რედაქტორის//კორექტორის მიერ შეტანილი ცვლილება არ ცვლის ტერმინის მნიშვნელობას და სწორად ჯდება მოცემულ კონტექსტში. მხოლოდ ამის შემდეგ ტერმინი უბრუნდება

ტერმინოლოგს, რომელიც მას ანიჭებს გადამონმებული ტერმინის სტატუსს, მიუსადაგებს წყაროს და განათავსებს როგორც მთარგმნელობითი ცენტრის სერვერულ ბაზაში, ისე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ ონლაინლექსიკონში (www.matsnedictionary.gov.ge).

მთარგმნელობითი ცენტრის მიერ ტერმინოლოგიური ბაზის დახვეწის ამოცანების წარმატებით შესრულებას განაპირობებს აღნიშნულ პროცესში ჩართული გუნდის თითოეული წევრის გრძელვადიანი პრაქტიკული გამოცდილება და ღრმა თეორიული ცოდნა. ამგვარად დახვეწილი ტერმინოლოგიური ბაზა, რომელსაც მთარგმნელობითი ცენტრი ფართო აუდიტორიას ონლაინლექსიკონის სახით სთავაზობს, უზრუნველყოფს, რომ დაინტერესებულმა პირებმა ქვეყნის მასშტაბით გამოიყენონ გადამონმებული და ზუსტი ტერმინები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგის განხორციელებას და, შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას.

NINO ALI

The Legislative Herald of Georgia (Matsne) Translation Centre – The MTC

Involvement of Revisers of the Translation Centre of the Legislative Herald of Georgia in Terminology Work

Terminology work forms an integral part of the work process at the MTC. Terminology work is a multi-stage process at the MTC, whereby the translators, terminologist, revisers and native English proofreader are involved and closely cooperate with each other.

The translators identify (extract from texts) terms in the course of working on their current assignments. Further, the terminologist checks the extracted terms. These two stages are followed by the revision/editing of the terms, which first of all includes the linguistic analysis and checking of terms for accuracy, or suggesting new translations of terms.

The process after the linguistic analysis comprises the verification of terms in numerous sources, the types of which can vary depending on the domain under consideration.

As far as the goal of the MTCe is the translation of legal texts, in particular, the legislation of Georgia and the EU Acquis, the MTC mostly relies on the sources of the legislation of Georgia (www.matsne.gov.ge) and the EU legislation (www.eur-lex.europa.eu), relevant publications (e.g. guidelines, manuals), legal dictionaries, glossaries and encyclopaedia, and official terminological databases (e.g. IATE, Eurotermbank).

The principles of working with sources will be shown on practical examples: how candidate terms are compared and verified and how the best term is selected. We will also discuss the criteria according to which terms are selected: if the term is valuable as a term but is not frequently used (e.g. term “zero-draft ship” - *arawyalyvisi gemi*), in what case we add it to our term base, or, if the term is not good/accurate, how appropriate it is to change such a term after many years of usage (e.g. the Georgian translation of the term: Human Development Index - “*humanuri ganviTarebis indeqsi*”).

It is important to use effective search techniques to select a reliable source from a great number of sources available on the internet. The team of the MTC has elaborated such techniques based on their practical experience. Practical examples will be presented here again to illustrate how an appropriate source is selected to substantiate the accurateness of a term.

Checking of terms by revisers is followed by the revision of terms by a proofreader, who

assesses whether a term fits into a certain context and sounds “natural” in the target language. A proofreader returns the terms to a reviser, who makes sure that the changes made by the proofreader, if any, do not distort the meaning of the term and fit the certain context appropriately. Only after the above stages have been completed, the terms are returned to the terminologist, who assigns the status of a verified term and attributes sources to them, and enters them into both the server term base of the MTC and the online dictionary of the Legislative Herald of Georgia (www.matsnedictionary.gov.ge).

The long-term practical experience and strong theoretical knowledge of each team member involved in terminology work determine the successful implementation of the objectives of the MTC towards refining its term base. The refined term base, which is offered to the general public in the form of the MTC online dictionary, will ensure that all interested persons use verified and accurate terms throughout the country, which will in turn facilitate the implementation of the Association Agenda and, accordingly, the approximation of the legislation of Georgia to the EU Acquis.

ზურაბ ბარათაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ზოგიერთი სინტაქსური ტერმინის ქართულად გადმოტანისათვის

ენათმეცნიერების განვითარებასთან ერთად იმატებს ტერმინთა რაოდენობა, რომელთა თარგმნა აუცილებელია ქართულ ენაზე ახალი თეორიებისა და თუ მიმდინარეობების შემოტანა-შემოღებისათვის. ასევე თანამედროვე ენათმეცნიერული ტერმინოლოგია ხშირად ლექსიკური დუბლეტებით გამოირჩევა, ოღონდ სხვადასხვა სკოლა თუ მიმართულება, როგორც წესი, ერთ რომელიმე ტერმინს იყენებს და სინონიმის პრობლემა კონკრეტული თეორიული ჩარჩოს შიგნით (ტჰეორეტიკალ ფრამენორკ) მოხსნილია.

ასეთი ტერმინებია, მაგ., ფრანგ. აცტანტ და ინგლ. არგუმენტ „აქტანტი“. პირველი, როგორც წესი, ინგლისურენოვან ლინგვისტურ ლიტერატურაში იხმარება მხოლოდ დამოკიდებულებათა გრამატიკის ამოსავალ დებულებებზე დაფუძნებულ ნაშრომებში (რადგანაც ლ. ტენიერის თეორიულ ჩარჩოს მისდევენ), ხოლო მეორე მათგანი ინგლისურენოვანი ლინგვისტური ლიტერატურის ტრადიციული ტერმინია და, ფაქტობრივად, ყველა ინგლისურენოვანი სინტაქსური თეორია იყენებს. უმჯობესია, ქართულად რომელიმე ინგლისურენოვანი ნაშრომის თარგმანისას „აქტანტი“ გამოვიყენოთ და არა „არგუმენტი“ (ზოგიერთ ქართულენოვან ლინგვისტურ ნაშრომშიც დასტურდება ეს ტერმინი), რადგანაც ავირიდებთ ტერმინოლოგიური დუბლეტის წარმოქმნას და საკითხს გადავწყვეტთ შედარებით უფრო ტრადიციული და არაორაზროვანი ტერმინის „აქტანტის“ სასარგებლოდ.

აქტანტთა ორი ძირითადი ტიპის აღსანიშნავად უმჯობესია ცოროე „ცენტრალური“ და პერიპჰერალ „პერიფერიული“ ტერმინთა გამოყენება. რელაციურ გრამატიკასა და ლექსიკურ-ფუნქციურ გრამატიკაში ცენტრალური აქტანტის დუბლეტური ტერმინია ტერმ „თერმა“ (რესპ. დირეცტ არგუმენტ), რომელიც ქართულენოვან ლინგვისტურ ლიტერატურაშიც გვხვდება. ჩვენ ვარჩევთ ცოროე „ცენტრალური“, რადგან უფრო გამჭვირვალე ტერმინია და ვთარგმნით „ცენტრალურად“. უმჯობესი იყო, გვეთარგმნა „ბირთვულად“, მაგრამ არსებობს სხვა ლინგვისტური ტერმინი — ნუცლეუს, რომელიც „ბირთვად“ შეიძლება გადმოვიღოთ.

ცენტრალურ დამატებათა ორი ტიპი შეიძლება გამოვყოთ: დირეცტ ~ პრიმარყ და ინდირეცტ ~ სეცონდარყ. დირეცტ და ინდირეცტ ტრადიციულად ითარგმნება როგორც „პირდაპირი“ და „ირიბი“, შესაბამისად, მაგრამ მათგან განსხვავებით პრიმარყ და სეცონდარყ არ არის ქართულ ენათმეცნიერულ ტრადიციაში დამკვიდრებული. შეგვიძლია ვთარგმნოთ როგორც „პირველადი“ და „მეორეული“. ტიპოლოგიურ ლიტერატურაში (მ. დრაიერიდან მოყოლებული მაინც) მკაცრად განირჩევა დამატებათა ეს ორი ტიპი.

ადჯუნცტ „ადიუნქტი“ და ცომპლემენტ „კომპლემენტი“ ნაწილობრივ ფარავენ ტრადიციულ ტერმინებს „გარემოებას“, „უბრალო დამატებასა“ და დამოკიდებულებათა გრამატიკის ტერმინ „სირკონსტანტს“, ამიტომ მათი თარგმანი „გარემოებად“ და „(პერიფერიულ/უბრალო) დამატებად“ ნაწილობრივ იქნება მართებული კონტექსტის გათვალისწინებით. ამათ გარდა „კომპლემენტს“ დამატებითი მნიშვნელობები მოეძევა და ფრანგული და ინგლისური განმარტებები არ ეთანადება ერთმანეთს. უმჯობესია, თარგმანის ნაცვლად პირდაპირ გადმოვიღოთ ეს ტერმინები.

გრამატიკული ნყობები (alignment) გარდა ნომინატიურისა (nominative) და ერგატიურისა (ergative) არსებობს ასევე ნეიტრალური (ნეუტრალ), ინდირექტიული

(indirective), სეკუნდატიური (secundative) და სამწევრა/სამწევროვანი (tripartite). ინდირექტიულია წყობა, რომელშიც სამვალენტიანი ზმნის თემის სემანტიკური როლი იმავენაირად გამოიხატება, როგორც ორვალენტიანი ზმნის პაციენსი, ხოლო სეკუნდატიური წყობის დროს სამვალენტიანი ზმნის რეციპიენტი იმავენაირად გამოიხატება როგორც ორვალენტიანი ზმნის პაციენსი, ანუ ენაში პირდაპირი და ირიბი დამატების ნაცვლად წარმოდგენილია პირველადი და მეორეული დამატება. აქედან გამომდინარე, ამ წყობას შეიძლება ვუწოდოთ მეორეული წყობაც, რადგანაც ტერმინი უკავშირდება მეორეულ დამატებას (თუმცა უპირატესობა „სეკუნდატიურს“ უნდა მივანიჭოთ, რადგან „მეორეული“ ორაზროვნებას ქმნის). სამწევრა წყობა დასტურდება ენებში, რომლებშიც გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე, გარდამავალი ზმნის ქვემდებარე და პირდაპირ დამატება სხვადასხვა მაჩვენებლით გამოიხატება. წყობათა ერთ-ერთი ტიპის (ერგატიულის ქვეტიპის) სპლიტ ერგატივიტყვის სათარგმნელად უმჯობესია „ხლეჩილი ერგატიულობა“ „გახლეჩილის“ ნაცვლად. „ხლეჩილი“ უფრო მოკლე და მოქნილი ტერმინია.

ტიპოლოგიისათვის ღირებული ტერმინებია ფლაგინგ და ინდეხინგ. ეს ტერმინები შესაძლებელია, გადმოვიტანოთ აღწერილობითად, შესაბამისად, „(პარტიციპანტის) მარკირება სახელურ ფრაზაში“ და „(პარტიციპანტის) მარკირება ზმნაში“. ამგვარი მოუქნელი ტერმინების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაო ვარიანტად შეიძლება შემოვიღოთ „ფლაგირება“ და „ინდექსირება“.

mapping ~ remapping ოპოზიცია აღნიშნავს კავშირს სემანტიკურ როლებსა და შესაბამის სინტაქსურ ფუნქციებს შორის. მაშპინგ გამოხატავს კავშირს ამოსავალ კონსტრუქციაში, რაც შეიძლება ითარგმნოს მათემატიკური ტერმინით „ასახვა“, ხოლო სინტაქსური ალტერნაციის შედეგად სემანტიკური როლები იგივე რჩება, მაგრამ შესაბამისი სინტაქსური ფუნქციები იცვლება. ამ ცვლებადობას ინგლისურენოვან ლინგვისტურ ლიტერატურაში ეწოდება რემაპინგ, რასაც ქართულად შეიძლება „გარდასახვა“ ვუწოდოთ, სანამ უფრო სხარტი და მოქნილი ტერმინით არ ჩავანაცვლებთ.

ამგვარად, ზემოგანხილული ტერმინების თარგმნასა და გადმოქართულებას შემდეგი ზოგადი პრინციპები დავუდეთ საფუძვლად: ტრადიცია, არაორაზროვნება, გამჭვირვალე ტერმინების თარგმნა (და არა უბრალო ტრანსლიტერირება), მოკლე, მოქნილი და სხარტი ფორმა და ასევე აღწერილობითად შესატყვისის გადმოღება (თუ სხვა კრიტერიუმებით ვერ გადმოგვაქვს ესა თუ ის ტერმინი). ამ პრინციპთა გათვალისწინებით, გააზრებულად და თანმიმდევრულად უნდა გადმოვიტანოთ თანამედროვე ლინგვისტური ტერმინები.

ZURAB BARATASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgian National Academy of Sciences, Georgia

Transferring Some Syntactic Terms into Georgian

Together with developing linguistics the number of terms increase whose translation is necessary for introducing new theories and trends in the Georgian language. Besides this, Modern linguistic terminology is characterized by lexical doublets, however, different schools and trends, as a rule, use one of the term and the problem of synonymy is eliminated inside the particular theoretical framework.

Such terms are, for example, French *actant* and English *argument*. The former, as a rule,

is used only in the English linguistic papers based on basic assumptions of the Dependency Grammar (as they follow the theoretical framework by Tesnière), and the latter is the traditional term in English linguistic literature and in fact, all of the Syntactic frameworks use it. It is better to use “ak^ht’ant’i” in translating any English paper and not “argument’i” (the term is attested in a few linguistic papers written in Georgian), since the creation of the terminological doublets will be avoided and the problem will be solved in favour of the more traditional and unequivocal term – “ak^ht’ant’i”.

It is better to designate to basic types of arguments (*actants*) by *core* and *peripheral* terms. The doublet term of the *core argument* in the Relational Grammar and Lexical Functional Grammar is a *term*, which is encountered in the Georgian linguistic papers. *Core* is preferred since it is more transparent term and is translated into Georgian as “ts^hent’raluri”. It was better to translate as “birt^hvuli” but another term – *nucleus* exists which can be transferred as “birt^hvi”.

Two types of the core arguments can be singled out: *Direct* ~ *primary* and *indirect* ~ *secondary*. Direct and indirect are traditionally translated as “p’irdap’iri” and “iribi”, respectively, but as opposed to them *primary* and *secondary* are not established in the Georgian traditional linguistics. They can be translated as “p’irveladi” and “meoreuli”. In the typological literature (at least since Dryer), these two types of objects are strictly distinguished.

Adjunct and *complement* partially overlap the traditional terms *adverbial modifier*, *oblique object* and the Dependency Grammar term *circumstant*, that is why their translation into “garemoeba” and “(p’erip^heriuli/ubralo) damat’eba” will be partially true according to the context. Besides these, *complement* has additional meanings and the French and English definitions do not match each other. It is better to borrow these terms instead of the translation.

Besides the *nominative* and *ergative* alignments, there are *neutral*, *indirective*, *secundative* and *tripartite*. In the *indirective* alignment, the theme of the trivalent verb is expressed as the patient of the bivalent verb, and in the *secundative* alignment, the recipient of the trivalent verb is expressed as the patient of the bivalent verb, it means that there are the *primary* and *secondary* objects in the language. Consequently, this alignment can be called “meoreuli”, since the term is connected to the secondary object (but “sek’undat’iuri” should be preferred because “meoreuli” creates ambiguity). The *tripartite* “samts’evra” alignment exists in those languages where the subject of the intransitive verb, the subject of the transitive verb and the direct object are expressed by different markers. One of the type of the alignment (sub-type of the ergativity) – *split ergativity* is better to translate as “xlet^hili ergatiuloba” instead of “gaxlet^hili”. “xlet^hili” is much shorter and more flexible term.

Flagging and *indexing* are valuable terms for typology. These terms can be transferred descriptively, “(p’art’its^hip’ant’is) mark’ireba saxelur p^hraza i” and “(p’art’its^hip’ant’is) mark’ireba zmna i”, respectively. In order to avoid such cumbersome terms, “p^hlagireba” and “indek^hsireba” can be used as tentative variants.

mapping ~ *remapping* opposition designates the connection between semantic roles and the corresponding syntactic functions. *Mapping* expresses the connection in the basic construction; the term can be translated as the mathematical term “asaxva”. the result of a syntactic alternation will the same semantic roles but the different corresponding syntactic functions. In English linguistic literature, these alternations are called *remapping* which can be called “gardasaxva” in Georgian, until more laconic and flexible terms will displace it.

Thus, the translation and transfer into Georgian of the above-discussed terms are based on the following principles: Tradition, unequivocality, translation of the transparent terms (and not the mere transliteration), short, flexible and laconic forms, as well as borrowing the correspondent descriptive way (if the term cannot be transferred by the other criteria). Taking into account these principles, modern linguistic terms should be transferred thoughtfully and sequentially.

თინათინ ბოლქვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

მაკა თეთრაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

ნიკო ქელბაქიანი

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

ოპერაცია -ი: ქართული ენის სახელობითი ბრუნვის პრობლემა ოფიციალურ დოკუმენტებში

2004-2011 წლებში საქართველოში მოქმედი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა პირადობის დადასტურებისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტის გაცემის წესის შესახებ ინსტრუქციის“ მე-10 მუხლი განსაზღვრავდა პირადობის (ბინადრობის) მონმობის მოქმედების ვადებსა და რეკვიზიტებს. ამ მუხლიდან ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი პუნქტები:

„ა) სახელი – სახელი, რომლის ფუძე მთავრდება ხმოვანზე, იწერება მთლიანად, ხოლო სახელი, რომლის ფუძე მთავრდება თანხმოვანზე, იწერება „ი“ ხმოვნის გარეშე;

ბ) გვარი - თუ პირი ატარებს ორ შერწყმულ გვარს, მონმობაში ჩაიწერება ორივე გვარი, გამოყოფილი დეფისით მათი თანმიმდევრობა განისაზღვრება ფაქტის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტით;

გ) დაბადების ადგილი – საქართველოში დაბადებული პირის მონმობაში ჩაიწერება ქალაქის, რაიონის (დაბის) შესაბამისი სახელწოდება, ხოლო საზღვარგარეთ დაბადებული პირის მონმობაში – ქვეყნის დასახელება.“

2011 წელს ეს ინსტრუქცია ძალადაკარგულად გამოცხადდა, რასაც მოჰყვა შეცდომები პასპორტებში. კერძოდ, თანხმოვანფუძიანი სახელი წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით, რომელიც პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნით უცვლელად გადადის პასპორტზე დაფუძნებულ დოკუმენტებში, რაც შეცდომათა რიცხვს კიდევ უფრო მეტად ზრდის. სახელობითი ბრუნვის ნიშანი გადაჰყვება გვარებს სხვა ენაზე ტრანსლიტერაციის დროსაც.

მეორე მხრივ, სახელობითი ბრუნვის ნიშანი პირადობის მონმობაში, პასპორტსა და მასზე დაფუძნებულ ოფიციალურ დოკუმენტებში არაქართული წარმოშობის გვარები ხშირად წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე: პეტროსიან, ბაღდარ, ჰომლერ და ა.შ.

რაც შეეხება სახელობითი ბრუნვის ნიშნის, -ი სუფიქსის პოლიტიკურ მნიშვნელობას, აქ დგება საქართველოს ტოპონიმების ტრანსლიტერაციის საკითხი. ტრადიციულად, სხვა ენებზე ტრანსლიტერაციისას სახელობითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია, მაგ. თბილისი – თბილისი. 2008 წელს, საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ აღიარა საქართველოს ორი რეგიონის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ რუსეთში დაიბეჭდა ახალი პოლიტიკური რუკები, რომლებზეც საქართველოს ტოპონიმები გადმოცემული

თვითალიარებული რესპუბლიკების გადანყვეტილების შესაბამისად: Сухумი გახდა Сухум, ხოლო Цхинвали – Цхинвал. ქართული ენის სახელობითი ბრუნვის ნიშნები სხვა გეოგრაფიულ ობიექტებსაც ჩამოშორდა. შედეგად, უცხოურენოვან დოკუმენტებში, რუკებსა და საინფორმაციო გამოცემებში -ი სუფიქსის გამოყენების მიხედვით შეიძლება დადგინდეს, თუ კონფლიქტის რომელ მხარეს უჭერენ მხარს.

აღსანიშნავია, რომ სხვა ენებში, ძირითადად რუსულში, საქართველოს სსრ-ის გეოგრაფიული სახელწოდებების ბრუნვის ნიშნებიანად გადატანის გადანყვეტილება 1936 წელს საბჭოთა ხელმძღვანელობამ მიიღო. ასე რომ, Тифлис გახდა Тбилиси. ეს მოჰყვა საქართველოს დედაქალაქის სახელის ცვლილებას თვით ქართულ ენაში: ტფილისი - თბილისი; Кутаис – Кутаиси, Батум – Батуми, Сухум – Сухуми. მანამდე რუსეთის იმპერიისა და ადრეულ საბჭოთა რუკებსა და დოკუმენტებში -ი ბრუნვის ნიშანი არაერთგვაროვნად გამოიყენებოდა. დიდი ქალაქები უმეტესად -ი ბრუნვის ნიშნის გარეშე იწერებოდა (Тифлис(ь), Кутаис(ь), Батум(ь), Сухум(ь), Телав(ь), Душет(ь)), ზოგი ქალაქი -ი ბრუნვის ნიშნით იწერებოდა (Гори, Поти), ზოგ შემთხვევაში რუსული ყ ხმოვანი გამოიყენებოდა ი ხმოვნის ნაცვლად (Озургеты, Кобулеты), ზოგი სახელწოდება კი რუსულად თანხმოვანზე მთავრდებოდა, მაშინ როცა ქართული სახელწოდება ხმოვანფუძიანი იყო (Ахалцих(ь) - ახალციხე, Мцхет(ь) - მცხეთა).

მოხსენებაში განხილულია ყველა ის პრობლემა, რომლებიც უკავშირდება თანხმოვანფუძიანი სახელების სახელობითი ბრუნვის ფორმის გამოყენებას ოფიციალურ დოკუმენტებში და დასახულია გზები, რომლითაც შესაძლებელი გახდება დე ჯურე ნორმის დე ფაცტო ნორმად გადაქცევა ენობრივი პრაქტიკის ყველა სფეროში.

TINATIN BOLKVADZE

Giorgi Akhvlediani Society for the history of linguistics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, State Language Department, Georgia

MAKA TETRADZE

Giorgi Akhvlediani Society for the history of linguistics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, State Language Department, Georgia

NIKO KELBAKIANI

State Language Department, Georgia

Problem of Georgian Nominative Case Marker in Official Documents¹

Article 10 of the Instruction on the Procedure of Validation of the Identity of Citizens of Georgia and Aliens Residing in Georgia and Issuance Travel Passports of Citizen of Georgia (travel passports of stateless persons permanently residing in Georgia) that was effective in 2004-2011 defined validity and requisites of the identity (residence) documents. These paragraphs are interesting for us:

a) Name – a name with a vowel root ending is written completely and a name with a consonant root ending is written without the vowel i;

b) Surname – if a person holds two combined surnames, both surnames is written in the document separated with a hyphen. Their sequence is defined by a respective document verify-

¹ Georgian nouns ending in consonants take the suffix –i (-ი) in the nominative case. Nouns ending in a vowel do not have any suffix in the nominative case. Note that all nouns in dictionaries are shown in the nominative case.

ing the fact;

d) Place of birth – a respective name of a city, municipality (settlement) is written in the document of a person born in Georgia and a name of a country is written in the document of a person born abroad.

This instruction was annulled in 2011, leading to mistakes in passports. Sometimes names with consonant root endings were registered with a nominative case form that was subsequently copied to other identification documents based on passports, in effect multiplying the number of mistakes in the official documents (such as diplomas, driver license, certificates and so on).

The nominative case suffix also present in transliterated names and surnames in other languages. Sometimes the nominative case suffix is omitted in non-Georgian surnames in identity documents, passports, and other official documents based on passports (e. g. პეტროსიან - Petrosian, ბალდარ - Baldar, ჰომლერ - Homler and so on).

Here we must consider the political implications of the nominative case suffix in Georgian. Traditionally, Georgian names retain the suffix “-i” when transliterated to different scripts, e.g. Tbilisi - Tbilisi. However, it is precisely this suffix in toponyms that has taken on political significance. After the Russo-Georgian War in 2008 the Russian Federation decided to recognize the independence of two Georgian regions: Abkhazia and South Ossetia. This recognition was soon followed by a decision to change not only borders on the maps, but also place names (toponyms) in these self-declared republics in the Russian language. Therefore, Сухуми (Sukhumi) became Сухум (Sukhum) and Цхинвали (Tskhinvali) – Цхинвал (Tskhinval). Georgian nominative case suffixes were dropped in other names as well. In the aftermath, foreign language documents, maps, and news stories started to differ – by including or omitting the suffix “-i” depending on which party of the conflict they supported. Georgian toponyms with consonant root endings (including the self-declared republics) are used with the nominative case suffix in the official documents of the EU, OSCE, International Criminal Court, European Court of Human Rights: Sokhumi, Tskhinvali, Akhlagori, and etc.

The search can be easily performed in the on-line dictionary: a user conducts a search with the help of a key word. The term, its translation and all collocations related to it are displayed on the screen. The dictionary offers “ask a term” function, with the help of which a user has the opportunity to ask the MTC team the questions regarding terms. The MTC team is ready to respond to any inquiry regarding terms and suggest the translation in English/Georgian via e-mail.

It is worth mentioning, that the terminology work conducted at the MTC is of practical nature and importance and is aimed to:

- develop the reliable and user-friendly server-based term bases,
- ensure high-level terminological consistency of translated documents,
- develop a reliable, easily accessible, free and user-friendly on-line dictionary.

გვანცა მღვდელაძე, თამარ გომოხია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის დოქტორინების განვითარების ცენტრის დოქტორინების მომზადების განყოფილება, თბილისი, საქართველო

სამხედრო ტერმინოლოგიის თარგმნის პრობლემა პარაშუტით ხტომის სახელმძღვანელოში

- სხვადასხვა სახისა და მიმართულების სამხედრო ტექსტების თარგმნა ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული, სპეციფიკიდან გამომდინარე. ყველაზე მომზადებულ მთარგმნელსაც კი სჭირდება გარკვეული პერიოდი გადამზადებისთვის, რომ ისწავლოს, როგორ თარგმნოს ესა თუ ის ტერმინი.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის დოქტორინების განვითარების ცენტრში ითარგმნება ამერიკული (ძირითადად), რუსული, გერმანული და ფრანგული სამხედრო სახელმძღვანელოები. თარგმნისას პრობლემებს ქმნის ის გარემოება, რომ თარგმანზე მუშაობს ერთდროულად ორი პირი: მთარგმნელი და კომპეტენტური სამხედრო მოსამსახურეები (ოფიცრები) მიმართულებების მიხედვით. მათ უნდა მოარგონ ტექსტის შინაარსი ქართულ რეალობას, რადგან თავდაცვის სისტემები, შესაძლებლობები, პირობები და მეთოდები ყველა ქვეყანაში განსხვავებულია. ტექსტის ამგვარი დამუშავება იწვევს ორიგინალთან ცდომილებას და გამოცემული ქართული ტექსტი არ არის ხარისხიანი.
- ერთ-ერთი რთული სათარგმნი და დასამუშავებელი წიგნი იყო „იძულებითი გახსნის პარაშუტით ხტომის სახელმძღვანელო“ (STATIC LINE PARACHUTING TECHNIQUES AND TRAINING). ყველაზე დიდი პრობლემა ის იყო, რომ ეს არის ამერიკული წიგნი და ის უნდა მორგებოდა ქართულ რეალობას. წიგნში აღწერილი არც ერთი საფრენი აპარატი არ არის საქართველოში და პარაშუტებიც განსხვავებულია. შესაბამისად, ბევრი საკითხი და ტერმინი უცხო იყო ჩვენთვის, ამ სისტემის მცოდნე ერთადერთი სამხედრო კონსულტანტი კი რუსულენოვანი იყო. წიგნი გამოცემულია პროექტის სახით, რაც იმას ნიშნავს, რომ პერიოდულად მას სჭირდება განახლება და ცვლილებების შეტანა როგორც შინაარსობრივად, ისე ტერმინოლოგიის თვალსაზრისით.
- წიგნის თარგმნისა და დამუშავებისას გამოყენებული ტერმინოლოგია შეიძლება დაიყოს ჯგუფებად:
- ტერმინები, რომლებიც არ ითარგმნება, რადგან ქართულში არ გვაქვს მისი ზუსტი შესატყვისი. მაგ.: panel – პანელი, anti-inversion – ანტიინვერსიული, briefing - ბრიფინგი და სხვ.
- ტერმინები, რომელთა შესატყვისი გვაქვს და ითარგმნება, მაგრამ ასევე ვიყენებთ საერთაშორისო ტერმინსაც, რადგან სამიზნე აუდიტორიამ უკეთ გაიგოს. მაგ.: student - სტუდენტი/მსმენელი/მოსწავლე, ballistic - ბალისტიკური/ტყვიაგაუმტარი, reserve - სარეზერვო/სათადარგო, contact – კონტაქტი/მხებება, modified - მოდიფიცირებული და სხვ.
- ტერმინები, რომლებიც ითარგმნება, მაგრამ არ გამოიყენება, ამიტომ უნდა მოერგოს ქართულ რეალობას. მაგ.: foot - ფუტი, Inch — დუიმი, mile — მილი, yard — იარდი და ა.შ. ისინი უნდა მოერგოს მეტრს, კილომეტრსა და სანტიმეტრს.

- ტერმინები, რომლებიც სიტყვასიტყვით არ ითარგმნება, ამიტომ გამარტივებულია თარგმნისას. მაგ.: hand-and-arm signals. სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „ხელისა და მკლავის სიგნალები“. ეს უნდა ითარგმნოს, როგორც „ხელის სიგნალები“.
- ტერმინები, რომლებსაც რამდენიმე ქართული სიტყვა შეესაბამება, ამიტომ თარგმნისას სხვადასხვა სიტყვას იყენებენ. მაგ.: training - სწავლება/წვრთნა, jumpmaster – გამშვები ინსტრუქტორი/ინსტრუქტორ-პარაშუტისტი.
- ტერმინები, რომლების საერთაშორისოა, მაგრამ ჯერ არ დამკვიდრებულა ამ სისტემაში, ამიტომ სხვადასხვა სიტყვით თარგმნიან. მაგ.: leader – ლიდერი. ვინაიდან პრინციპულად არ იყენებენ ამ ტერმინს, ამიტომ მას შინაარსობრივად ცვლიან და თარგმნიან ხან როგორც „მეთაურს“, ხან კიდევ – „ხელმძღვანელს“. თუმცა, „მეთაური“ ამერიკულ წიგნებში არის commander.
- ტერმინები, რომლებსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს და უნდა ითარგმნოს ტექსტის კონტექსტიდან გამომდინარე. მაგ.: technics – ტექნიკა, მეთოდი (თუმცა, არის ასევე საერთაშორისო ტერმინი method), emergency landing – წინააღმდეგობა დაშვება.
- შემთხვევა, როდესაც ორი ან მეტი ამერიკული ტერმინი ერთი და იმავე სიტყვით ითარგმნება. მაგ.: ejector/snap hook – კარაბინი (ან ეჟექტორიანი კარაბინი) და სხვ.

ეს და სხვა მსგავსი საკითხები ბევრ პრობლემას ქმნის წიგნის თარგმნისა და დამუშავების დროს და მოთხოვს კონკრეტული გადანყვეტილების მიღებას, რათა თარგმნისას არ დაიკარგოს აუცილებელი საკითხები, მოერგოს ქართულ რეალობას და, ამასთან ერთად, დაცული იყოს ენობრივი სტანდარტები. ამ ყოველივეს დაკმაყოფილება რთულია, რადგან:

- სამხედრო კონსულტანტები არ ფლობენ პროფესიონალურად მშობლიურ და უცხო ენებს;
- დოქტრინების განვითარების ცენტრის შექმნამდე ესა თუ ის წიგნი უკვე თარგმნილი იყო უცხო ენის მცოდნე ნებისმიერ ოფიცრის მიერ, რომელიც იყენებდა არასწორ ტერმინებს და ამ ტერმინებით ასწავლიდა სხვა სამხედრო მოსამსახურეებს. შედეგად, მათ დამახსოვრებული აქვთ არასწორი ტერმინი და სწორი ტერმინის მნიშვნელობის გაგება უჭირთ.
- უცხო ენის მთარგმნელებსა და ქართული ენის სტილისტებს მუდმივად სჭირდებათ გადამზადება.

GVANTSA MGVDELADZE, TAMAR GOGOKHIA

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctrine Preparation Section of Doctrine Development Center of Training and Military Education Command of Ministry of Defence of Georgia

Military Terminology Translation Problem in “Static line Parachuting Techniques and Training”

The translation of military texts of different kind and from different fields is connected to many difficulties due to their specific characteristics. Even a top translator needs further retraining to get qualification in specific terminology.

In the Doctrine Development Center of Training and Military Education Command of

the Ministry of Defense of Georgia we translate American (predominantly), Russian, German and French military manuals. The main problem with translation is that the work is carried out by two sides: a translator and a military Subject Matter Expert (SME) (officers) of separate military fields. The job of the latter is to adapt the text to Georgian reality as long as defense systems, capabilities, conditions and techniques differ greatly in every country. As a result, we end up with a translation, the content of which is greatly different from the original, so, the Georgian publication is of a low quality.

One of the most difficult manuals to translate and process was “Static line Parachuting Techniques and Training”. The biggest problem with it was its American origin and the necessity of its adjustment to Georgian reality. None of the aircrafts described in the manual can be found in Georgia and our parachutes are different as well. Accordingly, quite a number of terms and issues were totally unfamiliar to us. Furthermore, the only military SME of this field had Russian education. The manual is published as a project that means that it needs a further update and change periodically in terms of both contents and terminology.

The terminology used in translation and elaboration can be divided into the following groups:

- Terms that can't be translated because a corresponding word can't be found in Georgian. Ex.: panel - “paneli”, anti-inversion - “antiinversiuli”, parachutist - “parashutisti” etc.
- Terms that have corresponding words in Georgian language but we use international terminology to ensure a better understanding of it to a target audience. Ex.: ballistic - “balistikuri/tyviagaumtari”, reserve - “sarezervo/satadarigo”, contact - “kontaqti/Shekheba”, modified - “modifitsirebuli” etc.
- Terms that can be translated but are not used, so they must be adapted to Georgian Reality. Ex.: foot, inch, mile, yard etc. have to be substituted by meter, kilometer and centimeter.
- Terms that can't be translated word-by-word so they are simplified during translation. Ex.: hand-and-arm-signals are translated in Georgian as “hand signals”.
- Terms that can be translated but calques are used on the ground of different factors. Ex.: “command” is a verbal order but instead we use a term “komanda” because order is only referred to a written form, not verbal.
- Terms that can be translated by a number of Georgian words, so we use different words in translation. Ex.: training - “stsavleba/tsvrtna”, jumpmaster - “gamshvebi instruqtori/instruqtor-parashutisti”.
- Terms that are international but are not used in this system so far and are translated by different words. Ex.: leader - “lideri” this term is not used and the word is translated as “commander” - “metauri” or “chief” - “kheldmdzghvanieli”. Though, in American manuals we have a word “commander” - “metauri”.
- Terms that are polysemantic and must be translated according to context. Ex.: technics - equipment or methods (though there is an internationally used term “method” as well), emergency landing - landing on obstacles.
- Situations when two or more American terms are translated by one Georgian word. Ex.: ejector/snap hook - carabine (carabine with ejector) etc.

All the above mentioned and other similar issues make lots of problems during translation and elaboration of a manual and needs a specific decision to be made in order not to lose important sides of the original during translation, to adapt it to Georgian reality and, moreover, consider language standards carefully. It is very difficult to consider all the mentioned as long as:

- Military SMEs don't have a professional knowledge of both the native and foreign

languages;

- Before the establishment of Doctrine Development Center a military manual could be translated by any officer who could speak English. Obviously, they used incorrect terms during translation and taught these terms to military servicemen. As a result, the servicemen have memorized the terminology incorrectly and now it's difficult for them to upgrade their knowledge.
- Foreign language translators and Language specialist need a requalification on a regular basis.

ნინო პოპიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტერმინოლოგიის საკითხისათვის აფხაზურ და ოსურ სკოლებში სტალინურ ეპოქაში

სამეცნიერო ტერმინოლოგია სხვადასხვა საგნობრივი მიმართულების მიხედვით თარგმნისა და სტანდარტიზაციის პროცესებთან უშუალო კავშირშია. აფხაზური და ოსური სკოლები პირობითი სახელებია იმ სასკოლო დანესებულებებისა, სადაც აფხაზური და ოსური ენები ისწავლება. აღნიშნული ტიპის სკოლებმა განვითარების რამდენიმე საფეხური განვლეს მეთვრამეტე საუკუნიდან დღემდე. მრავალჯერ შეიცვალა სასკოლო პროგრამები, სახელმძღვანელოები, თუმცა აფხაზური და ოსური სკოლების სპეციფიკა შემდეგნაირად განისაზღვრა: დანყებით საფეხურზე: 1-3 ან 1-4 კლასებში სწავლების ენა აფხაზური ან ოსური, ხოლო მე-4 ან მე-5 კლასიდან, სწავლების ძირითადი ენა – რუსული ენა (მე-20 საუკუნის 30-40-იან წლებში ზოგ სკოლაში, ქართული ენა), ხოლო აფხაზური და ოსური ენები ისწავლებოდა დამამთავრებელი კლასის ჩათვლით.

აღნიშნული სისტემის შემოღების ძირითად მიზეზად ასახელებდნენ იმას, რომ აფხაზურ და ოსურ ენებში არ არსებობდა შესაბამისი სამეცნიერო და სასწავლო ტერმინოლოგია, არ იყო შესაბამისი საგნობრივი ტერმინოლოგია სტანდარტიზებული. დღეისათვის, აფხაზური და ოსური ენები გადაშენების საფრთხის პირას მყოფი ენებია, რისი ერთ-ერთი მიზეზიც, დარგობრივი ლექსიკოლოგიური განვითარების, ახალი სიტყვების შექმნის ნაკლებობაც არის.

ჩვენ საგანგებოდ დავაკვირდით აღნიშნულ საკითხს. ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა და მოვიძიეთ შესაბამისი მასალა, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში დანყებულა აფხაზურ და ოსურ ენებზე სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოების თარგმნა, თუმცა სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოების თარგმნა მე-20 საუკუნის 50-იან წლებში არ გაგრძელებულა.

ჩვენი აზრით, აღნიშნული პროცესი უშუალოდ უკავშირდება მე-20 საუკუნის 30-40-იანი წლების სტალინური ეპოქის საბჭოთა საგანმანათლებლო და ენობრივ პოლიტიკას, იმ რეფორმებსა და უტოპიურ ლინგვისტურ თეორიებს, რომლებიც აღნიშნულ დროში იყო მხარდაჭერილი, მათ შორის, აფხაზური და ოსური ენებისათვის ანბანების ცვლილების საკითხს.

მოხსენებაში წარმოვადგენთ აფხაზური და ოსური სკოლების სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოების. საგნობრივი პროგრამების ანალიზს.

NINO POPIASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

Concerning Terminology in the Abkhazian and Ossetian Schoolbooks During the Stalin Era

School terminology is directly connected with translation and standardization processes according to subject directions. The Abkhazian and Ossetian schools are conditional names for those school institutions, where the Abkhazian and Ossetian languages are taught. These types of schools have passed several stages of development since the eighteenth century till

now. School programs, textbooks have been changed several times, however the specifics of the Abkhazian and Ossetian schools were defined as follows: in 1-3 or 1-4 grades the language of teaching was Abkhazian or Ossetian language, and from the 4th or 5th grades - the main language was Russian (in the 30-40s of the 20th century at some schools - Georgian), and the Abkhazian and Ossetian languages were taught including a final grade.

One of the main reasons for introducing the named system was the fact that there was no corresponding scientific and educational terminology in the Abkhazian and Ossetian languages, the relevant subject terminology wasn't standardized. Today the Abkhazian and Ossetian languages are the languages which are in danger of disappearing, one of the reasons of which is a lack of sectoral lexicological development, creation of new words.

We have specially examined this question. We have conducted a qualitative research and found a suitable material, as a result of which it has turned out that in the 30s of the 20th century translation of schoolbooks of different subjects into the Abkhazian and Ossetian languages had been begun, though the translation of textbooks of different subjects wasn't continued in the 50s of the 20th century. In our opinion, this process is directly connected with the Soviet educational and language policy of the Stalin era in 30-40s of the 20th century, with those reforms and utopian linguistic theories which were supported at the given time, including with a question of change of alphabets of the Abkhazian and Ossetian languages. We will present textbooks of various subjects, the analysis of subject programs of the Abkhazian and Ossetian schools in the report.

თარგმნის კომპიუტერული პროგრამა SDL Trados Studio 2017

საკანონმდებლო მაცნის მთარგმნელობით ცენტრში დანერგულია თარგმნის თანამედროვე კომპიუტერული პროგრამა SDL Trados Studio 2017. ამ პროგრამაში გადის სათარგმნი დოკუმენტი დამუშავების ყველა ეტაპს, კერძოდ: თარგმნის, ტერმინოლოგიური დამუშავების, და რედაქტირების ეტაპებს.

SDL Trados Studio 2017 გამოირჩევა დახვეწილი და მოსახერხებელი ინტერფეისით, რომელიც აღჭურვილია დამხმარე ფუნქციებით და ხელს უწყობს სამუშაოს ეფექტიანად შესრულებასა და დროის მართვას. პროგრამას აქვს მთელი რიგი ფორმატის დოკუმენტების მხარდაჭერა, მაგალითად: MS Word, MS Excel, MS PowerPoint, html და ა.შ. პროგრამა უზრუნველყოფს წყარო დოკუმენტის ფორმატირების სრულად შენარჩუნებას სამიზნე ტექსტის მომზადების პროცესში. ასევე, პროგრამაში შესაძლებელია რამდენიმე პროექტზე ერთდროულად მუშაობა.

პროგრამას აქვს ორი მთავარი ფუნქცია: მთარგმნელობითი მეხსიერება (TM) და ტერმინოლოგიური ბაზა (TB), ასევე დამხმარე ფუნქცია - ავტომატური შეთავაზების ლექსიკონი.

მთარგმნელობით მეხსიერებაში ინახება თითოეული გადათარგმნილი/დარედაქტირებული სეგმენტი. მუშაობის პროცესში ანალოგიური სეგმენტების აღმოჩენის შემთხვევაში პროგრამა გვთავაზობს მთარგმნელობით მეხსიერებაში შენახულ ვარიანტებს, დამთხვევის პროცენტულობის მითითებით (მაგ: 100%, 70% და ა.შ.), რაც მნიშვნელოვნად ზოგავს დროს. მაგრამ, პროგრამა ავტომატურად არ თარგმნის, და ადამიანური ფაქტორი გადამწყვეტი და შეუცვლელი რჩება. იმისთვის, რომ აღნიშნული ფუნქციის სარგებელი საგრძნობი იყოს, საჭიროა მთარგმნელობით მეხსიერებაში დაახლოებით 10000 სეგმენტის დაგროვება. რაც უფრო მოიმატებს მთარგმნელობით მეხსიერებაში შენახული სეგმენტების რაოდენობა, მით უფრო ეფექტური გახდება მთარგმნელობითი მეხსიერების გამოყენება. ამ პროცესს, როგორც წესი, რამდენიმე წელი სჭირდება. სამაგიეროდ, რაც უფრო მოცულობითია მთარგმნელობითი მეხსიერება, მით უფრო იზრდება წყარო ტექსტიდან სამიზნე ენის ტექსტის გენერირების ხარისხი და პროცესის ეფექტიანობა.

ტერმინოლოგიური ბაზა არის გუნდის მიერ დამუშავებული ტერმინების მონაცემთა ბაზა, რომელიც მიეძღვნება პროექტს და პირდაპირ სთავაზობს მთარგმნელს/რედაქტორს ტერმინების შესატყვისს სამიზნე ენაზე, მათი შესაბამისი მონიშვნით გამოყოფის გზით. ეს ფუნქცია ხელს უწყობს ტერმინების თანმიმდევრულ და ერთგვაროვან გამოყენებას.

თარგმნის და რედაქტირების პროცესში აგრეთვე ეფექტურია ავტომატური შეთავაზების ლექსიკონი, რომელიც იქმნება არსებული ტერმინოლოგიური ბაზის საფუძველზე და ავტომატურად გვთავაზობს შესაბამის ვარიანტებს ტექსტის ბეჭდვის პროცესში, რაც ზოგავს ბეჭდვის დროს.

საკანონმდებლო მაცნის მთარგმნელობით ცენტრში ასევე ვიყენებთ პროგრამის რამდენიმე მოდულს, რომლებიც გვეხმარება გამოყენებული ტერმინების შესაბამისობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფაში, ესენია „პროექტში კონკრეტული ტერმინის ძიების მოდული“ და „შესაბამისობის ძიების მოდული“. პირველი მოდულის საშუალებით ხდება კონკრეტული ტერმინის შემცველი ყველა სეგმენტის ცალკე გამოტანა თარგმნილ ვერსიებთან ერთად, რაც ეხმარება მთარგმნელს/რედაქტორს

ტექსტში განმეორებული ტერმინები თუ ფრაზები ერთნაირად თარგმნოს ყველა სემანტიკაში ან, ტერმინის შეცვლის შემთხვევაში, შესაბამისად შეცვალოს ის ყველა სემანტიკაში. ხოლო „შესაბამისობის ძიების მოდულის“ საშუალებით შესაძლებელია ტერმინებისა თუ ფრაზების მოძიება პროექტზე მიმაგრებულ მთარგმნელობით მესხიერებებში, რაც მთარგმნელს/რედაქტორს ეხმარება თანმიმდევრული და ერთგვაროვანი ტერმინების გამოყენებაში.

LIKA RIKADZE

The Legislative Herald of Georgia (Matsne) Translation Centre – The MTC

SDL Trados Studio 2017 Translation Software, a CAT Tool

The Translation Centre of the LEPL Legislative Herald of Georgia – Matsne (the MTC) uses a modern translation software SDL Trados Studio 2017. A source document is processed in this software at each stage, namely: at the translation, terminology preparation and revision stages.

SDL Trados Studio 2017 has a well-organised and user-friendly interface, which has many useful features and contributes to efficient work and better time management. The software is compatible with many document formats, such as: MS Word, MS Excel, MS PowerPoint, html, etc. The software automatically applies the source formatting to the target text and allows working on several projects simultaneously.

The software has two main translation tools: translation memory (TM) and termbase (TB), and a useful feature, an autosuggest dictionary.

A TM stores each translated/revised segment. During the working process, the software offers matching versions stored in the TM, specifying the percentage of the match (e.g. 100%, 70%, etc.). However, the software does not provide translations automatically and the human factor is still crucial and irreplaceable. In order to see the benefit of this feature, over 10 000 segments must be stored in the TM. The higher the number of the segments stored in the TM, the more efficient its usage. As a rule, this process takes several years. However, the bigger the TM, the better the quality of the generated target text and the efficiency of the process.

As for the TB, it is a terminological database that is added to the project and offers matching terms in the target language. This tool contributes to the consistency of the terms used.

An autosuggest dictionary is also an effective function in the translation and revision process, which is created on the basis of the existing terminological base, and automatically offers relevant options in the printing process, thus, saving time.

The MTC also uses several plug-ins of the software, which help us to ensure consistency of the used terminology. Those plug-ins are ‘search for the selected text’ and ‘concordance search’, which provide improved search opportunities within the project or throughout the attached TMs. Those features help a translator/reviser to translate the same terms or word collocations consistently or, in case of changing terms, to change them accordingly in all matching segments.

რამაზ ქურდაძე, მაია ლომია, ქეთევან მარგიანი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი, საქართველო*

ევიდენციალურ ზმნურ ფორმათა სახელდებასა და თარგმანთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები ქართველურ ენებში

დარგის განვითარებისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიის შექმნა მშობლიურ (ეროვნულ) ენაზე და მისი ზუსტი ეკვივალენტის შერჩევა თარგმანში. ამგვარი მუშაობის პროცესში იკვეთება ფორმათა სახელდებასა და თარგმანთან დაკავშირებული პრობლემები. მოხსენების მიზანია წარმოაჩინოს ქართველურ ენებში ზმნური ევიდენციალური ტერმინების ჩამოყალიბების, ადეკვატურობის, მათი ურთიერთშესაბამისობისა და რეინტერპრეტაციის კანონზომიერებანი; ასევე, თარგმანთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების ცდა.

ქართველურ (სამხრეთკავკასიურ) ენებში - ქართულში, მეგრულში, ლაზურსა და სვანურში დასტურდება ევიდენციალური მწკრივები, რომელთაგან ნაწილი ოთხივე ენაშია, ნაწილი კი მხოლოდ მეგრულში, ლაზურში და სვანურში განივითარა. ქართველურ ენათა ზმნურ პარადიგმაში ტერმინოლოგიურ სიჭრელეს ქმნის არა მარტო ის ფაქტორი, რომ სალიტერატურო ენაში მათი ბადალი ფორმები არ მოიპოვება, არამედ ისიც, რომ თვით ამ ენებში ერთი და იმავე მწკრივის მიმართ სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვა ტერმინს იყენებს, იმის გათვალისწინებით, თუ რას ანიჭებს უპირატესობას: სტრუქტურას თუ სემანტიკას. მრავალნაირ ტერმინთა გაჩენა ართულებს მათ იდენტიფიკაციას თვით ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში, რასაც ემატება ამ ტერმინთა თარგმანთან დაკავშირებული პრობლემები.

მოხსენებაში წარმოდგენილია ქართველურ ენებში ტრადიციული სახელდებების მიხედვით არსებული ევიდენციალურ ზმნურ ფორმათა ტერმინები და სტანდარტიზაციის საერთაშორისო პრინციპების გათვალისწინებით შემოთავაზებულია ზოგი ახალი ტერმინი.

RAMAZ KURDADZE, MAIA LOMIA, KETEVAN MARGIANI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

The Issues of Naming and Translation of Evidential Verb Forms in the Kartvelian Languages

Development of a certain field largely depends on the creation of corresponding terminology in the native language, as well as selection of the exact translation equivalents of the terms. In this process, certain problems emerge regarding the naming and translation of the terms. The given paper aims at representing the ways of development, adequacy, interrelation and reinterpretation of verbal evidential terms in the Kartvelian languages. Besides, the paper attempts to find solutions of problems related to the translation of terms.

In the Kartvelian (South Caucasian) languages – Georgian, Megrelian, Laz and Svan – there are evidential screeves, some of which are represented in all the four languages, while others have been developed only in Megrelian, Laz and Svan. In the verb paradigm of the Kartvelian languages there is a great number of misleading terms. This can be explained by

the fact that no equivalent verb forms are found in the literary language. Another reason for the above-mentioned misunderstanding is that different scholars use different terms to denote one and the same scribe, some of them focusing on structure, and others - on semantics. The diversity of terms complicates their identification even in the Georgian linguistic space. The situation is aggravated by the problems related to the translation of these terms.

The paper analyzes the traditional terms denoting evidential verb forms of Kartvelian languages and, envisaging the international principles of standardization, offers certain new terms.

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მთარგმნელობითი ცენტრი და მისი ტერმინოლოგიური ლექსიკონი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ (შემდგომში „მაცნე“) დაარსდა 1998 წელს. საქართველოს ნებისმიერი სამართლებრივი და ნორმატიული აქტი ოფიციალურ იურიდიულ ძალას „მაცნის“ ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge) გამოქვეყნების შემდეგ იძენს. ვებგვერდი 2011 წელს ამუშავდა. „მაცნის“ ვებგვერდზე ასევე ქვეყნდება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები და ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო აქტები.

საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ — რომელიც საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივ დაახლოებას ითვალისწინებს — აშკარა გახდა, რომ საქართველოს კანონმდებლობის ინგლისურ ენაზე და ევროკავშირის კანონმდებლობის (*EU Acquis*) ქართულ ენაზე თარგმნა აღნიშნული დაახლოების პროცესის ეფექტური განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო. ამ მიზნის მისაღწევად 2013 წელს „მაცნეში“ შეიქმნა მთარგმნელობითი ცენტრი, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების თვალსაზრისით. შექმნის დღიდან „მაცნის“ მთარგმნელობითი ცენტრი საქართველოს და ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, ინგლისურ და ქართულ ენებზე მაღალი ხარისხით თარგმნას უზრუნველყოფს.

„მაცნის“ მთარგმნელობითი ცენტრის საქმიანობა მოიცავს საკანონმდებლო დოკუმენტების თარგმნას, რედაქტირებას, ინგლისურენოვანი სპეციალისტის მიერ ინგლისურენოვანი თარგმანების კორექტირებას, და საბოლოო რედაქტირებას, ასევე მათ ტერმინოლოგიურ დამუშავებას. „მაცნის“ მთარგმნელობითი ცენტრი კარგად მომზადებული, მაღალკვალიფიციური პროფესიონალებისგან შემდგარი გუნდს წარმოადგენს. მთარგმნელობითი ცენტრი თავის საქმიანობაში წარმატებით იყენებს თარგმანის ერთ-ერთ მოწინავე ავტომატიზებულ კომპიუტერულ პროგრამა SDL Trados-ს. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს წინადადებების სტრუქტურის და იურიდიული და ტექნიკური ტერმინოლოგიის თანმიმდევრულ გამოყენებას, ამაღლებს თარგმანის ხარისხს და ზრდის თარგმნის პროცესის ეფექტურობას და ეფექტიანობას.

დაახლოების პროცესში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებებში თარგმანის მაღალი დონის მისაღწევად სტანდარტიზებული ტერმინოლოგიის თანმიმდევრული გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. აღნიშნული პროცესის ეფექტურობისა და ეფექტიანობის ხელშეწყობის მიზნით „საქართველოს საკანონმდებლო მაცნემ“, იუსტიციის სამინისტროსთან კონსულტაციის შემდეგ, გადაწყვიტა, რომ „მაცნის“ მთარგმნელობითი ცენტრის მიერ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დამუშავებული და შექმნილი ტერმინოლოგიური ბაზა თავისუფლად ხელმისაწვდომი გაეხადა საზოგადოებისათვის.

ამ მიზნით „საქართველოს საკანონმდებლო მაცნემ“ 2017 წლის დეკემბერში აამუშავა თავისი ქართულ-ინგლისური/ინგლისურ-ქართული ტერმინოლოგიური ონლაინ-ლექსიკონი (matsnedictionary.gov.ge). „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მთარგმნელობითი ცენტრის ტერმინოლოგიური ლექსიკონში შედგენილია მთარგმნელობითი ცენტრის ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზის საფუძველზე და მასში შე-

სულია საქართველოს კანონმდებლობაში და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაში გამოყენებული იურიდიული, ტექნიკური და სპეციალური ტერმინები. ლექსიკონი დახმარებას უწევს ყველა იმ პირს, ვინც ჩართულია კანონშემოქმედებით საქმიანობასა და დაახლოების პროცესში საქართველოში, ასევე მათ, ვისაც აინტერესებს აღნიშნული პროცესები. სულ მალე ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით გამოვა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მთარგმნელობითი ცენტრის ტერმინოლოგიური ლექსიკონის პირველი ბეჭდური გამოცემა.

ლექსიკონი მოიცავს სხვადასხვა სფეროში გამოყენებულ ტერმინოლოგიას და იგი მოქმედ კანონმდებლობას იოლად ხელმისაწვდომს გახდის ქართულ და ინგლისურ ენებზე. შესაბამისად, იმედი გვაქვს, რომ ლექსიკონი თავის წვლილს შეიტანს საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესის დაჩქარებაში.

ჩვენ ვეცადეთ ლექსიკონში შეგვეტანა როგორც ყველაზე გავრცელებული ტერმინები, ისე საქართველოს კანონმდებლობის და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაში სხვადასხვა სფეროში გამოყენებული მთელი რიგი სპეციალური ტერმინები. შემდგომში პირველ გამოცემაში შეტანილ ტერმინებს დაემატება ის სპეციალური ტერმინები, რომლებზეც ჩვენი გუნდი მუდმივად მუშაობს.

VERONICA SCHNEIDER

The Legislative Herald of Georgia (Matsne) Translation Centre – The MTC

The Legislative Herald of Georgia (Matsne) Translation Centre and its Terminological Dictionary

The Legislative Herald of Georgia, Matsne, a legal entity under public law (LEPL) within the system of the Ministry of Justice, is the official gazette of Georgia, established in 1998. Legal and normative acts of Georgia acquire legal force following their publication on the Matsne website (www.matsne.gov.ge), which was launched in 2011. Matsne also publishes international agreements of Georgia, decisions of the Constitutional Court and local self-government acts.

Following the entry into force of the Association Agreement between Georgia and the EU, which provides for the gradual approximation of the legislation of Georgia to that of the EU, it became clear that the translation of the legislation of Georgia into English and the translation of EU Acquis into Georgian was of paramount importance for the effective implementation of this process. With this in mind, the Translation Centre was established at the Legislative Herald of Georgia, Matsne (the MTC) in 2013, a significant step forward in terms of approximation to the European legislation. Since its establishment, the MTC has been providing high-quality translation of the legal acts of Georgia and those of the EU in English and Georgian respectively.

The MTC work encompasses translation, revision, editing, proofreading, and final editing, as well as terminology processing of legal documents performed by a team of well-trained highly qualified professionals. In its work, the MTC uses SDL Trados software, an advanced computer-assisted translation (CAT) tool. The software enables the consistent use of sentence structure and legal and technical terms, the enhanced quality of translation and a more effective and efficient translation process.

To achieve high quality translation throughout the Government institutions that participate in the approximation process the use of consistent standardised terminology is essential.

To support the efficiency and effectiveness of this process, the Legislative Herald of Georgia, in consultation with the Ministry of Justice, has decided to make the terminology that the MTC has been working on for five years freely accessible to the public.

To this end, the Legislative Herald of Georgia launched its Georgian-English/English Georgian online terminological dictionary in December 2017 (matsnedictionary.gov.ge). This dictionary is based on the terminological database of the Translation Centre of the Legislative Herald of Georgia, Matsne (the MTC). It contains legal, technical and specialised terminology extracted from the legislation of Georgia and the EU/Georgia Association Agreement. The terminological dictionary is to assist everybody involved and interested in legal drafting and the approximation process in Georgia. The first edition of the printed terminological dictionary of the Legislative Herald of Georgia (Matsne) Translation Centre is to be published soon, supported by the European Union financing.

The dictionary contains terminology in various fields and is to facilitate easy access to the applicable legislation in Georgian and English. Therefore, we hope it will contribute to the enhancement of the approximation process of the legislation of Georgia to that of the EU in accordance with the Association Agreement between Georgia and the EU.

We have endeavored to include the most common terms, as well as a wide range of specialised terms in the various fields covered by the legislation of Georgia and the EU/Georgia Association Agreement. The first edition is to be further enlarged to include more specialised terms, as they are processed by our team.

ქართველ ხალხში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი, საქართველო

ეთნოლოგიური ტერმინების ქართულად თარგმანისა და სტანდარტიზაციის პრობლემები

ეთნოგრაფიული მასალისადმი ინტერესსა და მათ შეკრებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი შეეცადა XVIII საუკუნეში პირველად გაეანალიზებინა ეთნოგრაფიული მონაცემები ქართველთა შესახებ. XIX საუკუნის შუა ხანებიდან ინტერესი სიძველეებისადმი და ეთნოგრაფიული კვლევისადმი კიდევ უფრო იზრდება, ისევე როგორც მთელ ევროპაში. დარგის ინსტიტუციონალურმა განვითარებამ (კავკასიის მუზეუმის, უნივერსიტეტის, მოგვიანებით ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დაარსება და სხვ.) დღის წესრიგში დააყენა შესაბამისი ტერმინოლოგიური სისტემის შექმნის აუცილებლობა. ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელს აკად. გიორგი ჩიტაიას, განათლება ევროპაში ჰქონდა მიღებული და კარგად იცნობდა იმდროინდელ მიმდინარეობებს ეთნოლოგიაში და იმ პერიოდის ტერმინოლოგიას. 1926 წელს მან დაწერა საპროგრამო სტატია, სადაც მოცემულია ტერმინისა და დისციპლინის არსის განმარტება და დასახულია დარგის ამოცანები. გ. ჩიტაიამ თავის მონაფეებთან ერთად შეიმუშავა ეთნოლოგიური ტერმინოლოგია. დარგის და მასთან ერთად ტერმინოლოგიის განვითარების ბუნებრივი მსვლელობა შეფერხდა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. დისციპლინის სახელიც კი ეთნოლოგია შეიცვალა ეთნოგრაფიით. რკინის კედლის მიღმა მოქცეული სამეცნიერო სივრცე ჩამოშორდა მსოფლიო სამეცნიერო სივრცეს. რამაც იდეოლოგიურ წნეხთან ერთად გამოიწვია ეთნოლოგიური ტერმინოლოგიის პეციფიკური ფორმით სტანდარტიზაცია საბჭოთა კავშირის ფარგლებში.

მოხსენებაში განვიხილავ ეთნოგრაფიული ტერმინების გამოყენებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს. ქართული ეთნოლოგიური ტერმინოლოგიის განვითარება XIX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო და საბჭოთა სივრცეში გაგრძელდა. შესაბამისად, დღეისათვის ტერმინთა ნაწილი აღარ არის კვლევისა და სწავლებისათვის რელევანტური. თაობათა შორის გაჩნდა გარკვეული ტერმინოლოგიური გაუცხოება, რადგან მათ ვინც განათლება დასავლურ უნივერსიტეტებში მიიღო, უცხოენოვან ლიტერატურაზე წვდომამ და ქართულენოვანი დარგობრივი საბაზისო განათლების უქონლობამ განსხვავებული ტერმინოლოგიური აპარატი ჩამოუყალიბა. მათ მიერ ნათარგმნი ტერმინები რიგ შემთხვევებში დარგში უკვე დამკვიდრებულისგან განსხვავებული აღმოჩნდა. არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოთა თარგმნის საკითხი. ბოლო წლებში შესრულებულმა თარგმანებმა პრობლემა თვალსაჩინო გახდა, რადგან ახლად თარგმნილი ტერმინოლოგია ხშირად არ შეესაბამება ქართული ეთნოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა ტერმინოლოგიას. ტერმინთა სტანდარტიზაცია პრობლემატური ჩანს, თვითგამოხატვისა და თვითრეალიზაციის თავისუფლების გამოც. სხვადასხვა მეთოდოლოგიური და თეორიული მიდგომების არსებობა, ინფორმაციული ეპოქის შესაძლებლობები (ვირტუალური სივრცე, სოციალური ქსელები და სხვ.) საშუალებას აძლევს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს გამოაქვეყნოს საკუთარი აზრი და შრომები დამატებითი სარედაქციო სამუშაოების განხორციელების გარეშე, პროფესიონალთა აზრის გათვალისწინების გარეშე. ამგვარად ვრცელდება და მიმოქცევაში შემოდის ახალი ან ახლად აღმოჩენილი ტერმინები და მყარად მკვიდრდება ახალი თაობის მკვლევართა ლექსიკონში.

KETEVAN KHUTSISHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

Problem of Translation and Standardization of Ethnographic Terms in Georgian

The interest to the collection of ethnographic data in Georgia has a long history. The first scholar who tried to analyze this ethnographic data was Vakhushti Batonishvili in the eighteenth century. From the middle of the nineteenth century, interest in ethnographic research grew in Georgia, as it did elsewhere in Europe. The institutional development (establishment of the Museum of the Caucasus, University, later on the Institute of language, History and Material Culture etc.) put into the agenda the creation of the appropriate terminological system. The founder of the Georgian ethnological school Giorgi Chitaia was educated in Europe and was well acquainted with the contemporary for that time trends and terminology in the field. In 1926 he wrote the program article, explaining the term ethnology and the aims of the discipline. He together with his pupils has elaborated relevant Georgian ethnological terminology. The natural development was interrupted after the Sovietization of the country. Even the name of the discipline was changed from Ethnology to Ethnography. Surrounded by the iron curtain the scientific circle in the Soviet Union was unable to become a part of the world scientific space. This fact together with the ideological pressure caused the specific way of standardization of the terminology.

In the paper I'll discuss several issues regarding the usage of ethnographic terms. As the Georgian terminology was elaborated in the beginning of the XX c. within the Soviet space, some terms turned not to be relevant for the research and teaching nowadays. There has been created the generational gap between the old generation and the new one, educated in the Western Universities. The access to the foreign lingual literature and the lack of the Georgian lingual basic education in the field causes the misunderstanding in translation. The necessity of translation of some specific terms pushed the scholars to feel free to translate according their understandings, which are not always applicable. In recent years several textbooks have been translated and the problem of translation became evident, as the newly translated terminology is not matching to the one used by the representatives of the Georgian ethnological school, who are not involved in the translation activities.

The standardization seems problematic because of the freedom of self-expression and realization. The variety of methodological and theoretical approaches, the possibilities of the informational epoch (virtual spaces, social networks etc.) are giving the opportunities to the all interested individuals to publish their works without the editorial works carried out by the professionals. Thus new or newly invented terms are circulated and based in the dictionary of the new generation of scholars.

INTERNATIONAL TERMINOLOGY: TRANSLATION AND STANDARDIZATION

INTERNATIONAL CONFERENCE

OCTOBER 5-7, 2018

Program and Abstracts



„ბამოცემლობა გრიფონი“
აკ. წერეთლის გამზ. №72
ტელ.: 2 355 360
grifoni@inbox.ru

ISBN 978-9941-480-15-7



9 789941 480157